



10654/3-87/21
26-10-2021

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს“

მოგესხენებათ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ქვეყნის ძირითადი
მონაცემების და მიმართულებები -2022-2025 წლებისთვის დოკუმენტში, სახელმწიფო
ქონების მართვის პრიორიტეტების ნაწილში მოცემულია - სსიპ „სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს“ მართვაში არსებული ლიკვიდური, გადახდისუუნარო და
მომგებიანი საწარმოების კლასიფიკაცია მათი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის
მიხედვით. არამომგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირება ლიკვიდაციით,
გაკოტრებით ან რეორგანიზაციით.

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი
ინფორმაცია:

- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მართვაში არსებული
ლიკვიდური, გადახდისუუნარო და მომგებიანი საწარმოების კლასიფიკაციის,
შემცირებისა თუ რეორგანიზაციის კონკრეტულად გაწერილი გეგმა, ასეთის
არსებობის შემთხვევაში.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით
გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე



KA021746452830721

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N15/68658

03 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ხათუნა სამნიძეს

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2021 წლის 26 ოქტომბრის N10654/3-87/21 (სააგენტოში რეგისტრაციის N124897/03) წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ დღეის მდგომარეობით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში ირიცხება 97 საწარმო, საიდანაც მოქმედია 50, ხოლო უმოქმედო 47 საწარმო.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წლიდან აქტიურად ხორციელდება, მის მართვაში არსებული საწარმოების და ამავე საწარმოების სუბსიდიარი (შვილობილი) საწარმოების ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესი. აღნიშნული პროცესი მოიცავს საწარმოთა: პრივატიზებას, ლიკვიდაციას, რეორგანიზაცია-შერწყმას (გაერთიანებას, მიერთებას), გაკოტრებას, დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადაცემას და მართვის უფლებით გადაცემას. 2013 წელს სააგენტოს მართვაში ირიცხებოდა 463 საწარმო, ხოლო დღეის მდგომარეობით - ირიცხება 97 საწარმო.

ამჟამად, სააგენტოს მართვაში არსებულ საწარმოებს მონაცემთა ბაზაში მინიჭებული აქვთ, კლასიფიკაციის კონკრეტული კრიტერიუმი და სტატუსი, როგორც არის მაგალითად, მისი ფუნქციონირების, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისა და ამავე საწარმოებში რეორგანიზაციის, გაკოტრების და ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ამასთან გაცნობებთ, რომ საწარმოთა კლასიფიკაციის განხორციელება რაიმე წერილობით გეგმასთან კავშირში არ არის და ვერც იქნება, იმდენად რამდენადაც იგი წარმოადგენს არა ბიზნეს პროცესს, არამედ ერთჯერად გადანყვეტილებას საწარმოთა სისტემატიზაციასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საწარმოთა შემცირების თუ რეორგანიზაციის კონკრეტულად განერილ გეგმას, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იდენტიფიცირებული აქვს როგორც საპრივატიზებო საწარმოები, ასევე ის კომპანიები რომელთა რეგისტრაციის გაუქმების პროცესი უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად ცალკეულ საწარმოზე განერილი და დასამტკიცებელი სალიკვიდაციო გეგმის, რეორგანიზაციის გეგმის ან გადახდისუნარიობის (გაკოტრების) საქმის წარმოების დაწყების თაობაზე პარტნიორთა/აქციონერთა კრებაზე მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრულად



გიორგი დუგლაძე